# საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ქ. ბათუმი „31" 12 2014 წ.

## ბრძანება № 12/149

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-80 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის N4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამინისტროდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცეს თითოეული განმცხადებლის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია თუ მათი ასლების საერთო რაოდენობა არ აღემატება 5 გვერდს.

2. წლის განმავლობაში, მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 80 გვერდს.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. მახარაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) და შემდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 01 იანვრიდან.

ნუგზარ სურმანიძე

მინისტრი